ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის

ოქმი N20

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი **N** 20

ქ. ხონი

3 დეკემბერი, **2021** წელი

სხდომა დაიწყო: 12 საათზე.

სხდომა დასრულდა: 15 საათზე.

2021 წლის 3 დეკემბერს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი მოწვევის პირველი სხდომა, სხდომას ესწრებოდნენ (რეგისტრაცია გაიარა) ახლად არჩეული საკრებულოს წევრები: ვალერი ბახტაძე, ამირან კაშია, ნინო კუხალაშვილი, ია სულუხია, ვახტანგ ვაჭარაძე, ზაზა ვაშაკიძე, ზურაბ მიქაძე, ელისო ლიპარტელიანი, მათე ჩანქსელიანი, ლა ღაჭავა, დემური სულაბერიძე, გელა ჩოგოვაძე, გურამ ბახტაძე, მაკა ტაბიძე, არჩილ საღარაძე, კახა ფირცხალავა, ბაჩანა ბასილაია, შორენა კაკაბაძე, ზაზა რუხაძე, კობა კუბლაშვილი, ბესარიონ ჭელიძე, რაული ვაშაკიძე, ნაზიბროლა გეგია, ლევან ჯიმშელეიშვილი, ზვიად ჩიმაკაძე, ვახტანგ ბალავაძე.

სხდომა გახსნა N55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მაგდა კობეშავიძემ, მან საკრებულოს წევრებს გააცნო ოლქში ჩატარებული 2021 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგები, რის შემდეგაც მან სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სამი წევრი, საკრებულოს წევრმა კობა კუბლაშვილმა , დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის წევრებად დაასახელა ზაზა რუხაძე, ვახტანგ ვაჭარაძე და ლია ღაჭავა. საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ კომისიის წევრებს:

მომხრე: ---- 26

წინააღმდეგი: --- 0

მაგდა კობეშავიძემ სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ დროებითი სამანდატო კომისიის სამი წევრი, საკრებულოს წევრმა კობა კუბლაშვილმა, დროებითი სამანდატო კომისიის წევრებად დაასახელა ზურაბ მიქაძე, გელა ჩოგოვაძე და ია სულუხია. საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ კომისიის წევრებს:

მომხრე: ---- 26

წინააღმდეგი: --- 0

ამის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარემ დროებით სამანდატო კომისიას გადასცა საკრებულოს წევრთა დოკუმენტაცია რის შემდეგაც სხდომაზე გამოცხადდა შესვენება და დროებითი სამანდატო კომისია გავიდა საკრებულოს წევრთა უფლება მოსილების ცნობის საკითხის განსახილველად.

შესვენების დასრულების შემდგე დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მიქაძემ საკრებულოს გააცნო კომისიის დასკვნა და აღნიშნა რომ 2021 წლის მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაცი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან მან კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შეახებ:

მომხრე: ---- 26

წინააღმდეგი: --- 0
ამ მომენტიდან უფლებამოსილება შეუწყდა ძველი მოწვევის საკრებულოს.

კენჭის ყრის შემდეგ თავმჯდომარის არჩევამდე სხდომის თავმჯდომარეობა ჩაიბარა საკრებულო უხუცესმა წევრმა ნაზიბროლა გეგიამ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა დეპუტატებს, მან მადლობა გადაუხადა წინა მოწვევი საკრებულოს გაწეული მუშაობისათვის, ხოლო ახალი მოწვევის საკრებულოს წარმატებები უსურვა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა, საკრებულოს წევრმა ზაზა ვაშაკიძემ აღნიშნა რომ საკრებულოს წევრები მათე ჩანქსელიანი ლია ღაჭავა. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად ასახელებენ ვალერი ბახტაძის კანდიდატურას სხდომაზე სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა სხდომის თავმჯომარემ ვალერი ბახტაძეს სთხოვა მოეც თანხმობა რათა მისი კანდიდატურა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაეყენებინ. კენჭისყრაზე, რაზეც ვალერი ბახტაძემ განაცხადა თანხმობა, საკრებულოს თავმჯომარის არჩევის კენჭისყრ. კანონის შესაბამისად გაიმართა ფარულად. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს დ. სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენელმა ვახტანგ ბალავაძემ და პარტია „ნაციონალური" მოძრაობის წარმომადგენლებმა ბესარიონ ჭელიძემ, რაულ ვაშაკიძემ, ლევან ჯიმშელეიშვილმა და ზვიადი ჩიმაკაძემ.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: ___20

წინააღმდეგი:___0

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით საკრებულოს თავჯდომარედ არჩეული იქნ ვალერი ბახტაძე.

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ახალად არჩეულ საკრებულოს თავმჯომარეს ჩააბარა სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს დეპუტატებს გააცნო საკითხები, რომლითა გაგრძელდებოდა სხდომა:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ, ხონი მუნიციპალიტეტის 2017 წლის 20 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.**
2. **საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება.**
3. **საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.**
4. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.**
5. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.**
6. **ფრაქციების შექმნის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღება.**
7. **საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა.**
8. **საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება.**

9. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ, ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 20 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილედ გელა ჩოგოვაძის კანდიდატურა, საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას კენჭი უყარეს ფარულად:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ კობა კუბლაშვილის კანდიდატურა, საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას კენჭი უყარეს ფარულად:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩილ საღარაძის კანდიდატურა, საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას კენჭი უყარეს ფარულად:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი: ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული სქართველოს“ შექმნის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება ფრაქციის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი: ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება ფრაქციის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი: საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

განკარგულება კვოტირების შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი: საკრებულოს მუდმივმოქმედი „საფინანსო საბიუჯეტო კომისიის“ შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება კომისიის შექმნის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი: საკრებულოს მუდმივმოქმედი „იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება კომისიის შექმნის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი: საკრებულოს მუდმივმოქმედი „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის“ შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება კომისიის შექმნის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეთე საკითხი: საკრებულოს მუდმივმოქმედი „ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება კომისიის შექმნის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი: საკრებულოს მუდმივმოქმედი „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის“ შექმნის შესახებ განკარგულების ცნობად მიღება. სხდომის თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნული განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს.

განკარგულება კომისიის შექმნის შექმნის შესახებ ოქმს თან ერთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს სთხოვა დაასახელონ „საფინანსო საბიუჯეტო კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურა. კომისიის წევრების შემადგენლობიდან, საკრებულოს ექვსმა წევრმა „საფინანსო საბიუჯეტო კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს დემურ სულაბერიძე. აღნიშნულ კანდიდატს კენჭი ეყარა ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს სთხოვა დაასახელონ „იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურა. კომისიის წევრების შემადგენლობიდან, საკრებულოს ექვსმა წევრმა „იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს ზურაბ მიქაძე. აღნიშნულ კანდიდატს კენჭი ეყარა ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს სთხოვა დაასახელონ „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურა. კომისიის წევრების შემადგენლობიდან, საკრებულოს ექვსმა წევრმა „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს გურამ ბახტაძე. აღნიშნულ კანდიდატს კენჭი ეყარა ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს სთხოვა დაასახელონ „ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურა. კომისიის წევრების შემადგენლობიდან, საკრებულოს ექვსმა წევრმა „ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს ზაზა რუხაძე. აღნიშნულ კანდიდატს კენჭი ეყარა ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს სთხოვა დაასახელონ „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურა. კომისიის წევრების შემადგენლობიდან, საკრებულოს ექვსმა წევრმა „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს ზაზა ვაშაკიძე. აღნიშნულ კანდიდატს კენჭი ეყარა ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

განკარგულება არჩევის შესახებ ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვალერი ბახტაძე**

სხდომის მდივანი: **მაია ბობოხიძე**